



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 თებერვალი, 2023



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0311 ეკონომიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 15, ქუთაისი, 4600, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	რეაკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1443386, 31.12.2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31 დეკემბერი 2021 წელი

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 31 დეკემბრამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1. გადამუშავდეს ეკონომიკის დამატებითი (Minor) პროგრამა მიზნების, შედეგებისა და შესაბამისად, ყველა შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით.
2. გადამუშავებას საჭიროებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებიდან რიგით მე-2 და მე-6 შედეგი. კერძოდ, (2) ითვალისწინებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს პრაქტიკაში და (6) ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ეთიკური ნორმების დაცვით. ამ მიზნით რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კომპონენტის სტატუსის ცვლილება - არჩევითიდან სავალდებულო სახით.
3. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს პროგრამის სტრუქტურა, თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით. ასევე, წინაპირობების ცვლილებით გაფართოვდეს სტუდენტთა დაშვება „საბაკალავრო ნაშრომზე“ და მასში აისახოს აკადემიური წერისა და საბაზისო კვლევითი უნარების ცოდნის მიზანშეწონილობა.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ დასახელება დაზუსტდეს და სილაბუსის შინაარსი შეივსოს რელევანტური თემატიკით ისე, რომ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირი ჩანდეს;
5. გადამუშავდეს მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსის შინაარსი, ან შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიური ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით ეკონომეტრიკისა და სტატისტიკის მიმართულებით, პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას გამოყენებული იყოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: SPSS, STATA ან სხვა;
7. რეკომენდებულია, ციფრული ეკონომიკის მიმართულებით გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, ან სასწავლო კურსების თემატიკა;
8. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტების რაოდენობა და სტაჟირების ხანგრძლივობას;
9. უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
10. აუცილებელია პროგრამის საკვანძო საკითხების ირგვლივ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების უფრო ქმედითად გამოყენება.



11. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების შესრულებაზე, ასევე, მონიტორინგის პროცედურის (გამოკითხვები, ანკეტებიდან გამომდინარე შედეგები, მათი ანალიზი და სხვა) აქტიურ პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებაზე აქცენტების გაკეთება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

წარმოდგენილი 11 რეკომენდაციიდან 10 შესრულდა სრულად ხოლო 1 - მეტწილად.

რჩევ(ებ)ი⁸

1. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის მიხედვით აისახოს სავალდებულო ლიტერატურა კონკრეტული გვერდების მითითებით.
2. სასურველია, თანამედროვე, 2016 წლის შემდეგ გამოცემული მოწინავე ლიტერატურის მითითება სილაბუსებში.
3. სასურველია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარესა და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
4. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა; სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა ფორტფოლიოების შექმნა); ასევე, სასურველია, შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც.
5. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
6. გააქტიურდეს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში და სათანადოდ იქნას გამოყენებული უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო შესაძლებლობები.

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



7. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტებისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (SPSS და ა.შ).

8. სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები.

9. სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მე-2 და მე-5 სტანდარტების ბოლოს მიეთითოს „გასაუმჯობესებელი მხარეები“. შიდა ხარისხის მექანიზმის ფარგლებში უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში ეს ნაწილი საჭიროებს დაზუსტებას.

10. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის საკვანძო საკითხების ირგვლივ პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და მისი უფლებამოსილებების უფრო ქმედითად გამოყენება.

11. კარგი იქნება პროგრამის განვითარების პროცესში გარე ექსპერტის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციებისა და უცხოური გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება-გაზიარება.

12. სასურველია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს უშუალოდ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც სასწავლო პროცესის სრულ ციკლს შეეხება; ასევე, შეიმუშავოს გზამკვლევები და დისტანციური სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად შესაბამისი წინადადებები თუ რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

წარმოდგენილი 12 რჩევიდან ინსტიტუციამ გაითვალისწინა 2 რჩევა.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევე(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით



სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები.
რეკომენდაცია I ¹⁴	გადამუშავდეს ეკონომიკის დამატებითი (Minor) პროგრამა მიზნების, შედეგებისა და, შესაბამისად, ყველა შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით.
შეფასება	<p>ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე განხორციელდა ეკონომიკის საბაკალავრო და Minor პროგრამების დადარება. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შეასწავლოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე; 2. შესძინოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების გაანალიზების შესაბამისი კომპეტენცია; 3. გამოუმუშავოს ეკონომიკური მოვლენების კრიტიკული და კრეატიული გააზრების და კვლევით პროცესში მონაწილეობის უნარი. <p>ეკონომიკის Minor პროგრამას კი ორი მიზანი აქვს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შეასწავლოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე; 2. შესძინოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების გაცნობიერების შესაბამისი კომპეტენცია. <p>პირველი პროგრამის მიზნები უნდა მიღწეულ იქნა 120 ECTS კრედიტის, ხოლო მეორეს პროგრამის მიზნები 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.</p>

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>რაც შეეხება პროგრამების შედეგების კომპონენტს, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • ხსნის ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს და ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონული დონეზე ფუნქციონირების კანონზომიერებებს; <p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • იყენებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს; • აანალიზებს ეკონომიკური პროცესების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით (SPSS, STATA და სხვ.); • აჩვენებს გარკვეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებს; • აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე; <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს ეთიკური ნორმების დაცვით. <p>მაინორ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ◀ აღწერს ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს და ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონული დონეზე ფუნქციონირების კანონზომიერებებს; <p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ◀ წარმოადგენს სტატისტიკურ მაჩვენებლებში ეკონომიკური პროცესების ამსახველ მონაცემებს; ◀ აყალიბებს დასკვნებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე;
--	--



	<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>◀ ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომს ეთიკური ნორმების დაცვით.</p> <p>აღნიშნული დადარება ცხადჰყოფს, რომ მაინორ პროგრამის პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის შედეგი არსებული სტრუქტურის პირობებში ვერ მიიღწევა. რათქმაუნდა, ამ უნარის გამომუშავება შესაძლებელია სხვა ძირითადი პროგრამის გათვალისწინებით, თუმცა Minor პროგრამის ფარგლებში ამ შედეგის გაწერა არ არის მიზანშეწონილი. Minor პროგრამის პროგრამას რომ ახლდეს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა, ან სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, ეს შეუსაბამობა მკაფიოდ იჩენდა თავს.</p> <p>რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • ეკონომიკის Minor პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები.
რეკომენდაცია II ¹⁵	<p>გადამუშავებას საჭიროებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებიდან რიგით მე-2 და მე-6 შედეგი. კერძოდ, (2) ითვალისწინებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს პრაქტიკაში და (6) ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ეთიკური ნორმების დაცვით. ამ მიზნით რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კომპონენტის სტატუსის ცვლილება - არჩევითიდან სავალდებულო სახით.</p>
შეფასება	აღნიშნული შედეგები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს (მეორე შედეგი); • ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს ეთიკური ნორმების დაცვით (მეექვსე შედეგი). <p>ამასთან, კვლევით კომპონენტს - საბაკალავრო ნაშრომი - შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო. მისი შეთავაზება მოხდება დამამთავრებელ სემესტრში. მისი წინაპირობაა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები. თუმცა, ანგარიშში მითითებულია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად წინაპირობად განისაზღვრა აკადემიური წერის სასწავლო კურსიც, რომელიც თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსია. მიზანშეწონილია, ინსტიტუციამ გამოასწოროს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში წინაპირობა წარმოდგენილი იყოს სრულად.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების და კვლევითი კომპონენტის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III ¹⁶	მიზანშეწონილია, გადამუშავდეს პროგრამის სტრუქტურა, თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით. ასევე, წინაპირობების ცვლილებით გაფართოვდეს სტუდენტთა დაშვება „საბაკალავრო ნაშრომზე“ და

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მასში აისახოს აკადემიური წერისა და საბაზისო კვლევითი უნარების ცოდნის მიზანშეწონილობა.</p>
<p>შეფასება</p>	<p>ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ინსტიტუციამ პროგრამაში განახორციელა შემდეგი სახის ცვლილებები:</p> <ul style="list-style-type: none">- სასწავლო კურსს „მსოფლიო ეკონომიკა“ შეეცვალა სახელწოდება „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკით“ და „ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების“ ბლოკიდან გადავიდა „ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსების“ ბლოკში;- სასწავლო კურსი: „ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა“ „ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების“ ბლოკიდან გადავიდა „ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსების“ ბლოკში;- სასწავლო კურსი „საბაკალავრო ნაშრომი“ „ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსების“ ბლოკიდან გადავიდა „ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების“ ბლოკში;- სასწავლო კურსი „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ შეიცვალა სასწავლო კურსით „კორპორაციული სამართალი“ და განთავსდა „ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების“ ბლოკში;- თავისუფალ სავალდებულო კომპონენტში შემოტანილ იქნა სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები“. <p>ამასთან, პროგრამის გადამუშავებისთვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ხელახლა განსაზღვრა სასწავლო კურსების წინაპირობები როგორც ძირითადი სპეციალობის სავალდებულო, ასევე, არჩევითი კურსებისთვის. კერძოდ,</p>



	<ul style="list-style-type: none">- სასწავლო კურსს "ეკონომიკური აზრის ისტორია" წინაპირობად განესაზღვრა "ეკონომიკის პრინციპები 1";- სასწავლო კურსს "მიკროეკონომიკა" წინაპირობად დაუდგინდა "ეკონომიკის პრინციპები 1";- სასწავლო კურსს "ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა" წინაპირობად განესაზღვრა "ეკონომიკის პრინციპები 2";- სასწავლო კურსს "ეკონომიკური სტატისტიკა 1" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "ეკონომიკის პრინციპები 1";- სასწავლო კურსს "უძრავი ქონების ეკონომიკის საფუძვლები" წინაპირობად დაუდგინდა "ეკონომიკის პრინციპები 1";- სასწავლო კურსს "ურბანული და რეგიონული ეკონომიკა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "მაკროეკონომიკა";- სასწავლო კურსს "საჯარო ფინანსები" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "მაკროეკონომიკა";- სასწავლო კურსს "საერთაშორისო საგადახდო სისტემები და საგადახდო ინსტრუმენტები" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "მაკროეკონომიკა";- სასწავლო კურსს "გადასახადები და საგადასახადო სისტემა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი: "მაკროეკონომიკა";- სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობად განესაზღვრა I-VII სემესტრებში არსებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები და აკადემიური წერა.- სასწავლო კურსს "საერთაშორისო გადაზიდვები და ლოგისტიკა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "საერთაშორისო ეკონომიკა 1";
--	--



	<ul style="list-style-type: none"> - სასწავლო კურსს "საერთაშორისო ვაჭრობა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "საერთაშორისო ეკონომიკა 1"; - სასწავლო კურსს "საერთაშორისო ეკონომიკური სტატისტიკა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "ეკონომიკური სტატისტიკა 2"; - სასწავლო კურსს "კომერციული და საბაჟო საქმიანობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი" წინაპირობად განესაზღვრა "ეკონომიკური სტატისტიკა 2"; - სასწავლო კურსს "საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა" წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი "ეკონომიკის პრინციპები 1". <p>შეცვლილი წინაპირობები ასახულია სასწავლო პროგრამის კურიკულუმში და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 3(22/23) 16 სექტემბერი 2022 წელი. რეკომენდაცია შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების და კვლევითი კომპონენტის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV ¹⁷	რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ დასახელება დაზუსტდეს და სილაბუსის შინაარსი შეივსოს რელევანტური თემატიკით ისე, რომ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირი ჩანდეს.
შეფასება	ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტებიდან დგინდება, რომ სასწავლო კურსი „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ შიიცვალა სასწავლო კურსით „კორპორაციული სამართალი“ და გადავიდა ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში. რეკომენდაცია შესრულდა.

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსის „კორპორაციული სამართალი“ სილაბუსი.
------------------	---

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V ¹⁸	გადამუშავდეს მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსის შინაარსი, ან შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება.
შეფასება	ანგარიშიდან დგინდება, რომ სასწავლო კურსს - მსოფლიო ეკონომიკა შეეცვალა დასახელება „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკად“, წინაპირობად განესაზღვრა „ეკონომიკის პრინციპები 2“ და გადანაცვლდა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში. რეკომენდაცია შესრულდა.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსის „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI ¹⁹	საინფორმაციო ტექნოლოგიური ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით ეკონომეტრიკის და სტატისტიკის მიმართულებით, პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას გამოყენებული იყოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: SPSS, STATA ან სხვა.
შეფასება	ანგარიშიდან დგინდება, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიური უნარების გასაძლიერებლად თავისუფალ სავალდებულო კომპონენტებში შემოტანილი იქნა სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, ხოლო „ეკონომეტრიკის“, „ეკონომიკური ანალიზის“ და სტატისტიკის მიმართულების კურსების პრაქტიკული ნაწილის

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სწავლება გაძლიერდა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით.</p> <p>სილაბუსების თემატიკის შესწავლით დგინდება, რომ „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსი შეასწავლის „Word“, „Excel“, „Power-Point“ პროგრამებით სარგებლობას, ხოლო „ეკონომეტრიკის“, „ეკონომიკური ანალიზის“ და სტატისტიკის სასწავლო კურსებში მოცემულია აღნიშნული პროგრამების და STATA-ს გამოყენებით ამოცანების დამუშავება.</p> <p>რეკომენდაცია შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „ეკონომეტრიკა“, „ეკონომიკური ანალიზი“, „ეკონომიკური სტატისტიკა 1“ და „ეკონომიკური სტატისტიკა 2“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII ²⁰	რეკომენდებულია, ციფრული ეკონომიკის მიმართულებით გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, ან სასწავლო კურსების თემატიკა.
შეფასება	<p>პროგრამაში, მერვე სემესტრში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების „ბლოკში შემოტანილია სასწავლო კურსი „ციფრული ეკონომიკა“.</p> <p>რეკომენდაცია შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • „ციფრული ეკონომიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია VIII ²¹	უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტების რაოდენობა და სტაჟირების ხანგრძლივობა.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ ინსტიტუციამ წამოადგინა სამი მემორანდუმი, სადაც განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ინსტიტუციის ინფორმაციით მიმდინარეობს მუშაობა დამსაქმებლებთან ახალი მემორანდუმების გაფორმების მიმართულებით. რეკომენდაცია შესრულდა.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • მემორანდუმები.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2.ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IX ²²	აუცილებელია პროგრამის საკვანძო საკითხების ირგვლივ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების უფრო ქმედითად გამოყენება.
შეფასება	წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. აღნიშნულია პროგრამის ხელმძღვანელობის და პროფესიული უნარების განვითარების გამოცდილება. ამასთან აღწერილია პროგრამის განვითარებაში მისი ჩართულობის აქტივობები. რეკომენდაცია შესრულდა.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელის CV.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია X ²³	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
შეფასება	<p>უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში გაწეული აქტივობების შესახებ, რომელიც აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით განახორციელა.</p> <p>კერძოდ,</p> <ul style="list-style-type: none"> • 2022 წლის 14 თებერვლიდან 13 მარტის ჩათვლით, ჩატარდა ტრენინგი SPSS სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების სრულ კურსზე (სულ 15 შეხვედრა, განხილულ იქნა 30 თემა). ტრენინგში მონაწილეობდა ეკონომიკის დეპარტამენტის 10 პედაგოგი. • ინოვაციური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი „როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები ვალიდურად“, 2022 წ. 13-14 ივლისი; • ინოვაციური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული პროგრამა - „სასწავლო კურსის მიზანი, შედეგები და შინაარსის შესაბამისი პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების თანამედროვე მეთოდები“, 2022 წ. 5-6 დეკემბერი; • ინოვაციური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“. 2022 წ. 15-16 თებერვალი. • ტრენინგი „ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე ციტირების ინდექსის შესახებ“. 2022 წ. 6 აგვისტო. • „კვლევის სწორად დაგეგმვა და განხორციელება უმაღლეს განათლებაში“. 2022 წ. 7-9 მარტი. • ტრენინგი: „საგრანტო განაცხადების წერა სტრატეგია და ტექნიკები“. 2022წ. 16 მარტი. • 2022 წლის მაისში ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი თამილა არნანია-კეპულაძე მასარიკის უნივერსიტეტის (ბრნო) მიწვევით იმყოფებოდა ჩეხეთის რესპუბლიკაში. • ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ცხადდება შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონული განვითარების ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების შესწავლას და გადაჭრის გზების დასახვას. კონკურსის სავალდებულო მოთხოვნაა სტუდენტების აქტიური ჩართულობა. საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს პროექტების დაფინანსებას მაქსიმუმ 15 ათასი ლარის ფარგლებში, ქვოტა - 60 000 ლარი წელიწადში. მიმდინარე სასწავლო წელსაც უკვე ჩატარდა შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი; (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3332-shidasaf-konkursibiznesi-geo-axali-2022-2023) .</p> <ul style="list-style-type: none">• 2022 წლის 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს ჩატარა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები. კონფერენცია მიემდგვნა ფაკულტეტის 30 წლის იუბილეს; (http://conferences.atstu.ge/BLSS/) · 2022 წლის 22 ივნისს, ჩატარდა ეკონომიკის ექსპერტის დემურ გიორხელიძის საჯარო ლექცია თემაზე: "ეკონომიკური განვითარება - ფაქტორები და დეტერმინანტები"; (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3099-d-giorkhelidzis-sajleqcia-geo) ·• 2022 წლის 21 ოქტომბერს, ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია“; ·• 2022 წლის 20 მარტს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკულ კონფერენცია ”შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი”. მასში მონაწილეობა 13 ქვეყნის 26 უნივერსიტეტის 111-მა წარმომადგენელმა მიიღო. კონფერენცია ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგრანტო პროექტის "COVID-19 და შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევების" ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი პროფ. თამილა
--	---



	<p>არნანია-კეპულაძე, პროექტის კოორდინატორი პროფ. დალი სოლოღაშვილი) ჩატარდა; (https://atsu.edu.ge/index.php/business-newsgeo/2865-shromis-bazris-axali-gamowvevebi-konf-geo) -</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა მ/წ 1-2 ნომბერს მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო XII ფორუმში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“; (https://atsu.edu.ge/index.php/businessnews-geo/3278-xii-forumi-led-g). <p>რეკომენდაცია შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში და თანდართული ინფორმაცია.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3. მატერიალური რესურსი
რჩევა ²⁴ I	გააქტიურდეს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში და სათანადოდ იქნას გამოყენებული უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო შესაძლებლობები
შეფასება	<p>წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში სტუდენტების სამეცნიერო კვლევითი აქტივობების გასააქტიურებლად ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა მ/წ 1-2 ნომბერს მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო XII ფორუმში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“; (https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3278-xii-forumi-led-geo) ➢ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2022 წლის 10 ივნისს ჩატარა ამავე ფაკულტეტის 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, კონფერენციაზე 45 სტატია იქნა წარდგენილი 76 სტუდენტის მიერ, მათ შორის მონაწილეობას დებულობდნენ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებიც.</p> <p>https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3085-studentta-samecn-konf-biznes-geo, (https://atsu.edu.ge/images/pdf/XXXII%20სტუდენტური%20სამეცნიერო%20კონფერენცია.pdf)</p> <ul style="list-style-type: none">➤ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ეგიდით, ტარდება საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისა და ქართული ეკონომიკური აზრის შემსწავლელი სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარის ფარგლებში სტუდენტთა საუნივერსიტეტოშორისო კონფერენცია სტუდენტთა საუნივერსიტეტოშორისო ეკონომიკური კონფერენციები: SIUEC 2017, SIUEC 2018, SIUEC 2019, SIUEC 2022);➤ მიმდინარე წელს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და აწსუ-ს და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივ კონფერენციებზე, პედაგოგებთან თანაავტორობით გამოდიოდნენ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის გარკვეული სტუდენტებიც;➤ 2022 წლის 27 მაისს აწსუ-ის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველოების და ეკონომიკის დეპარტამენტის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების აქტიური მონაწილეობითა და ორგანიზებით გაიმართა ვიქტორინა „მომავალი ეკონომისტი“, სადაც მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან 17 გუნდი; <p>https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/2982-viktorina-momavali-ekonomisto-geo)</p> <ul style="list-style-type: none">➤ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდებზე ინტენსიურად ხდება შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსების, ასევე, სამეცნიერო ფონდების მიერ
--	--



	<p>გამოცხადებული პროექტების/გრანტების, საჯარო ლექციების ჩატარების და შემეცნებითი ტურების განხორციელების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სტიპენდიის მიღებისათვის ერთერთი აუცილებელი პირობაა კონფერენციებსა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა.</p> <p>https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/3332-shidasaf-konkursi-biznesi-geo-axali-2022-2023)</p> <p>რჩევა გათვალისწინებულია.</p>
რჩევა ²⁵ II	სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტებისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (SPSS და ა.შ)
შეფასება	<p>ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან დგინდება, რომ 133 აუდიტორიაში ფუნქციონირებს SPSS -ის ლაბორატორია, რომელიც შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი კომპიუტერული (SPSS-ის) პროგრამით უზრუნველყოფილია.</p> <p>ასევე, 18112 აუდიტორიაში მოეწყო „ეკონომიკური კვლევების ციფრულ-ანალიტიკური ლაბორატორია“, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკითა და კომპიუტერული პროგრამებით.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში და თანდართული ინფორმაცია; • დეპარტამენტის სხდომის ოქმები.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XI ²⁶	რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების შესრულებაზე, ასევე, მონიტორინგის პროცედურის (გამოკითხვები, ანკეტებიდან გამომდინარე შედეგები, მათი ანალიზი და სხვა) აქტიურ პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებაზე აქცენტების გაკეთება.
შეფასება	საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა 2021-2022 სასწავლო წლის

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და აკადემიური ეროვნული გამოკითხვა. შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის გავევითარებისთვის. რეკომენდაცია შესრულდა.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none">• ანგარიში;• სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;• აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;• აკადემიური მოსწრების ანალიზი.

თანდართული დოკუმენტაცია²⁷

ექსპერტის ხელმოწერა

²⁷ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა